სატენდერო განაცხადი

თარიღი: 15/05/2026

შპს ბს/2 ჯორჯია

ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6

შპს ბს/2 ჯორჯია
ს/კ 205274291
ქ. თბილისი დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის ქ. 6, 0159
ტელ: +995 0322 422 200
Info.ge@bs2.lt, www.bs2.lt/ge

სარჩევი

ბაზრის კვლევა - ეკრანის დამცავი ბრონების შესყიდვა 3

პროდუქტი: 3

რაოდენობა: 3

მოწოდების პირობები: სავარაუდო მიწოდების რაოდენობა: 3

მონაწილეობის პირობები: 4

მოთხოვნები: 4

დამატებითი პირობები: 4

კვლევის ფარგლებში კომპანიამ უნდა წარმოადგინოს: 4

ბაზრის კვლევა - ეკრანის დამცავი ბრონების შესყიდვა

შპს „ბს/2 ჯორჯია“, ს/კ 205274291 აცხადებს ბაზრის კვლევას ეკრანის დამცავი ბრონების შესყიდვაზე. (გაითვალისწინეთ, რომ გვჭირდება მხოლოდ ბრონების შესყიდვა და არა ბრონის დაკვრის სერვისი)

პროდუქტი:

ეკრანის დამცავი ბრონების 3 პოზიცია:



გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე აუცილებელია სატესტო ნიმუშების წარდგენა.

რაოდენობა:

ჯამურად, 3 ტიპის ბრონზე, სავარაუდო მოთხოვნა შეადგენს თვეში 900 ცალს.

სავარაუდოდ, შეკვეთა შეიძლება განაწილდეს თანაბრად (300-300-300), თუმცა საბოლოო რაოდენობები დაზუსტდება შეკვეთის განთავსებამდე.

მოწოდების პირობები:

სავარაუდო მიწოდების რაოდენობა:

- ყოველთვიურად — 900 ცალი;
  ან
- კვარტალურად — 2,700 ცალი.

რაოდენობა შესაძლოა გადანაწილდეს თითოეულ მოდელზე განსხვავებული პროპორციით.

მონაწილეობის პირობები:

• აუცილებელია თანდართულ დოკუმენტაციაში ფასების ცხრილის სრულად და სწორად შევსება;
• ფასები მითითებული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი), დღგ-სა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
• შემოთავაზებულ ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება.

მოთხოვნები:

• პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
• შემოთავაზებული პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციაში მოცემულ ტექნიკურ პარამეტრებს.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი სავალდებულო დოკუმენტაცია:
•კომპანიის რეკვიზიტები (დანართი 3);
• ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დამატებითი პირობები:

• კვლევაში მონაწილე კომპანიამ მოთხოვნილი სატესტო ნიმუშები უნდა წარმოადგინოს კვლევის დასრულებიდან მაქსიმუმ 10 კალენდარული დღის ვადაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიღომი 7, პიმენ ყურაშვილის N6

• სატესტო ნიმუშისთვის საჭირო ტექნიკურ მასალებსა და ზომებს კომპანია დამატებით გააზიარებს კვლევის დასრულების შემდეგ.

კვლევის ფარგლებში კომპანიამ უნდა წარმოადგინოს:

- ეკრანის დამცავი ბრონების განფასება;
- პროდუქტის ტექნიკური აღწერილობა;
- საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე ალტერნატიული ვერსია დეტალური აღწერით.

ასევე აუცილებელია თითოეული შეთავაზებული ვერსიისთვის მითითებული იყოს:
• წარმოების ვადა;
• ბიუჯეტი/ერთეულის ღირებულება.

გთხოვთ, tenders.ge-ს ფასის ველში მიუთითოთ ყველაზე ბიუჯეტური ვერსიის ფასი.

შეთავაზებების მიღების ბოლო ვადაა: 22 მაისი, 17:00 საათი.

ტენდერში გამარჯვების ძირითადი კრიტერიუმებია:

- ხარისხი;
- ღირებულება.

დანარჩენი პირობები განისაზღვრება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.